ავღანეთში განვითარებული მოვლენების გავლენა საქართველოზე

TRC GCSD

ავღანეთში განვითარებული მოვლენების გავლენა საქართველოზე

ავტორი: ბექა ფარსადანიშვილი

თბილისი

2021

წინამდებარე პუბლიკაციაში გამოხატული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ გამოხატავდეს საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის პოზიციას. ცენტრის წერილობითი თანხმობის გარეშე დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

რეზიუმე

2001 წელს ხელისუფლებიდან ჩამოშორების შემდეგ, თალიბანმა დაიწყო აჯანყება, რომელიც ექსპერტთა შეფასებით დღემდე ერთ-ერთ ყველაზე სისხლიან კონფლიქტად ითვლება.[1] ავღანეთის ისლამურ სახელმწიფოში განვითარებულმა ბოლოდროინდელმა მოვლენებმა არამხოლოდ საერთაშორისო მედიის, არამედ საერთაშორისო საზოგადოების ყურადღებაც მიიქცია. 15 აგვისტოს თალიბანის მიერ ქაბულის აღებამ რადიკალურად შეცვალა როგორც ადგილობრივი, ისე რეგიონული და საერთაშორისო პოლიტიკური დღის წესრიგი. რიგი ექსპერტების აზრით, 2021 წელს ავღანეთის ტერიტორიაზე მივიღეთ 1996-2001 წლების პერიოდის თვითგამოცხადებული ისლამური საამირო, რომელსაც თალიბანი ხელისუფლებაში ყოფნის დროს შარიათის წესებით მართავდა.[2] გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ გამოქვეყნებულ რეზოლუცია 1378-ში ხსენებული პერიოდის ავღანეთი აღწერილია, როგორც სახელმწიფო, სადაც სახეზე გვაქვს ქალთა და ბავშვთა უფლებების დარღვევის მძიმე მაგალითები.[3]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თალიბანის მიერ ქაბულის აღებას გლობალური მასშტაბის შედეგები მოჰყვება, რომლის გათვალისწინება არაერთ სახელმწიფოს და მათ შორის - საქართველოსაც მოუწევს.

[1] National Public Radio (2020). Afghanistan-Taliban Talks Begin In Attempt To End 19 Years of Bloodshed. Retrieved from: https://www.npr.org/2020/09/12/912294791/afghan-taliban-talks-begin-as-long-warring-sides-seek-end-to-decades-of-bloodshe

[2] Durso, J. (2021). *Afghan Warlords: Back To The Future?*. ინტერნეტი. https://thehill.com/opinion/international/565586-afghan-warlords-back-to-the-future; ბოლო ნახვა: 16 აგვისტო, 2021 წელი.

[3] United Nations Security Council (2001). *Resolution 1378 (2001).* ხელმისაწვდომია: https://digitallibrary.un.org/record/452431?ln=en

შესავალი

თავისი მმართველობის პერიოდში, 1996 წლიდან 2001 წლამდე, თალიბანმა ავღანეთი თეოკრატიულ რესპუბლიკად, ან როგორც ისინი ავღანეთს უწოდებდნენ „ისლამურ საამიროდ“ გადააქცია, რომელიც უმეტესწილად შარიათის კანონებით იმართებოდა.[4] ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით განხორციელებულმა სამხედრო ინტერვენციამ თალიბანი ხელისუფლებას ჩამოაშორა და შედეგად ძალაუფლება პროდასავლურმა ხელისუფლებამ მოიპოვა, რომელსაც ესმოდა დემოკრატიული განვითარების მნიშვნელობა.[5] თალიბანი, რომელმაც აჯანყება დაიწყო ადგილობრივი თემების ფართო მხარდამჭერით სარგებლობდა 2002-2009 წლებში [6], თუმცა ამერიკის შეერთებულ შტატებში ბაზირებული არაკომერციული ორგანიზაციის ბოლოდროინდელი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 2019 წლისთვის ავღანეთის მოსახლეობის მხოლოდ 13.4 % უჭერდა მხარს თალიბანს.[7]

თალიბანის მიერ ავღანეთის დედაქალაქზე კონტროლის მოპოვების შემდეგ, მათ დაიწყეს ქვეყნის თავისებურად ადმინისტრირება. დღეისთვის ათასობით ავღანელი ცდილობს დატოვოს ქვეყნის ტერიტორია.

ავღანეთში განვითარებულ მოვლენებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის. წინამდებარე სტატია აჯამებს საქართველოს აქტივობას

---

[4] Human Rights Watch (2020). A Crucial Moment for Women's Rights in Afghanistan. Retrieved from: https://www.hrw.org/news/2020/03/05/crucial-moment-womens-rights-afghanistan

[5] Council on Foreign Relations (2020). The Taliban in Afghanistan. Retrieved from: https://www.cfr.org/backgrounder/taliban-afghanistan

[6] Asia Foundation (2009). A Survey of the Afghan People. Retrieved from: http://www.asiafoundation.org/resources/pdfs/Afghanistanin2009.pdf

[7] Asia Foundation (2019). A Survey of the Afghan People. Retrieved from: https://asiafoundation.org/wp-content/uploads/2019/12/2019_Afghan_Survey_Full-Report.pdf

ავღანეთში, აღწერს ავღანეთში შეცვლილი პოლიტიკური დღის წესრიგის თანმდევ რისკებს საქართველოსთვის და ამ რისკების გათვალისწინებით წარადგენს რეკომენდაციებს.

საქართველოს შეიარაღებული ძალები ავღანეთში

შეიძლება ითქვას, ავღანეთში 90-იანი წლების მიწურულს და 2000-იანი წლების დასაწყისში განვითარებული მოვლენები საქართველოსთვის წარმოადგენდა ერთგვარ შანსს, დაემტკიცებინა მისი ჩრდილოატლანტიკური მისწრაფებები და ერთგულება თავისი დასავლელი პარტნიორების მიმართ. გარდა ამისა ეს იყო შესაძლებლობა საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის, მიეღო სამხედრო გამოცდილება და აემაღლებინა სამხედრო კვალიფიკაცია დასავლელი პარტნიორების დახმარებით, რაც გაამყარებდა გრძელვადიან სამხედრო თანამშრომლობას ნატოს წევრ ქვეყნებს და საქართველოს შორის.

საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ავღანეთში სამშვიდობო მისიის ჩატარების 17-წლიანი გამოცდილება აქვს. ავღანეთში წარმოებულ ნატოს სამშვიდობო მისიას საქართველოს შეიარაღებული ძალები პირველად 2004 წლის აგვისტოში შეუერთდა და იმ დროისთვის ქართული ოცეული საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების (ISAF) შემადგენლობაში შედიოდა, რომლის მთავარ ამოცანასაც საპრეზიდენტო არჩევნების უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენდა.[8] 2004-2007 წლებში ქართველ სამხედრო მომსახურეთა ძირითად მოვალეობებს წარმოადგენდა: ბაზების დაცვა; პატრულირება; ჩხრეკა; კორდონი; საკონტროლო-

[8] საქართველოს თავდაცვის სამინისტრო (n,d.). *მისია ავღანეთში.* ინტერნეტი; https://mod.gov.ge/ge/mission/56/samshvidobo-misia-avganetshi. წვდომა: 16 აგვისტო, 2021 წელი.

გამშვები პუნქტის ოპერაციები; ავღანური არმიის საარტილერიო ქვედანაყოფების მომზადება; სამხედრო ჰოსპიტალის დახმარება. [9]

2007-2013 წლების პერიოდში ავღანეთში სამშვიდობო მისიის ფარგლებში ქართველი სამხედრო ექიმებიც ჩაერთვნენ, რომლებიც როტაციული სისტემით ლიეტუველ სამხედრო ექიმებთან მუშაობდნენ.[10] ამავე პერიოდში, 2009 წლიდან 2012 წლამდე, ქართული სამხედრო დანაყოფები ფრანგული კონტინგენტის შემადგენლობაში, 2014 წლიდან კი ქართული ელიტარული სამხედრო ოცეული ამერიკის შეერთებული შტატების კონტინგენტის შემადგენლობაში გადავიდა.[11]

2010 წელს ქართველი სამხედრო პერსონალის რიცხვმა 1600-ს მიაღწია, რომელიც 2015 წლიდან აქტიურად ჩაერთო ნატოს საერთაშორისო მისიაში - „მტკიცე მხარდამჭერის მისია“ (RSM), რომელშიც ქართული სამხედრო დანაყოფები მიმდინარე წელს განვითარებული მოვლენების ბოლომდე რჩებოდნენ. [12]

თალიბანის და ავღანეთის ტრანსფორმაცია

ჯერ კიდევ დოჰაში გამართული სამშვიდობო მოლაპარაკებების დროს, შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, ექსპერტები ხაზს უსვამდნენ ქვეყნის ტრანსფორმირების და ავღანეთის თალიბანთან ერთად ადმინისტრირების სირთულეს.[13] ავღანეთში განვითარებულმა ბოლოდროინდელი მოვლენები რიგი ექსპერტების მიერ შეფასდა,

---

[9] ^ იქვე
[10] ^ იქვე

[11] ^ იქვე

[12] ^ იქვე

[13] BBC News (2020). *Afghan-Taliban peace talks: What's Next?* ინტერნეტი; https://www.bbc.com/news/world-asia-54255862; ბოლო ნახვა: 16 აგვისტო, 2021 წელი.

როგორც ქვეყნის დაბრუნება უკან მომავალში, რაც მეტნაკლებად სწორია, თუმცა არ ითვალისწინებს რამდენიმე მნიშვნელოვან დეტალს:

- დღეისათვის ქაბულში წარმოდგენილი თალიბანი მხოლოდ მსოფლმხედველობრივად და იდეოლოგიურად ჰგავს 1996-2001 წლების თალიბანს. 20-წლიანი სამშვიდობო მისიის პარალელურად, ვითარდებოდა სამყარო და ვითარდებოდა თალიბანიც. დღეს ავღანეთის ტერიტორიის ადმინისტრირებას ახდენს სამხედრო და ტექნოლოგიური თვალსაზრისით ბევრად უფრო განვითარებული თალიბანი, რომელსაც უფრო მჭიდრო კავშირების დამყარების შესაძლებლობის უნარი შესწევს ისეთ ტერორისტულ ორგანიზაციებთან, როგორიც არის ალ კაიდა.
- 15 აგვისტოს დაწყებული ავღანეთის ტრანსფორმაციის შედეგად მივიღებთ ახალ ავღანეთს, რომელსაც გარდა შარიათის კანონით მართვისა, საქართველოს დასავლელ პარტნიორებთან 20-წლიანი ბრძოლის შედეგად, აქვს უფრო მკაფიოდ და ხისტად ჩამოყალიბებული ანტიდასავლური საგარეო პოლიტიკა, რომელსაც თალიბანი კიდევ უფრო ეფექტურად შეფუთავს ანტი-იმპერიალისტურ საგარეო პოლიტიკად.
- ე.წ „ტერორიზმის აკვანმა (ინკუბატორმა)“ შესაძლებელია ავღანეთის მიმართულებით შეიცვალოს ვექტორი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საერთაშორისო საზოგადოებას მისი კონტრტერორისტული და ანტიტერორისტული რესურსის ჩრდილოეთ აფრიკის, ცენტრალური აფრიკის და ახლო-აღმოსავლეთის რეგიონზე განაწილების დროს, ავღანეთის და მისი მეზობელი ცენტრალური აზიის სახელმწიფოების გათვალისწინებაც დასჭირდება.
- ავღანეთი, რომელიც ერთ დროს პრობლემას წარმოადგენდა ნარკო- და ადამიანების-ტრეფიკინგის თვალსაზრისით, კვლავაც შეიძლება იგივე პრობლემის წინაშე დააყენოს საერთაშორისო საზოგადოება. თუმცა, ამჯერად

სწორედ ტექნოლოგიური განვითარების გამო, ზემოთ ხსენებული რისკები უფრო მწვავე ხდება.

- ავღანეთში განვითარებული მოვლენების შესახებ საერთაშორისო მედიაში გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სათანადო ადმინისტრირების და საერთაშორისო საზოგადოების მჭიდრო თანამშრომლობის არ არსებობის პირობებში იზრდება 2015 წლის მსგავსი მიგრანტთა კრიზისის მსგავსი ვითარების შექმნის რისკები. თუმცა ამჯერად ეს საფრთხე უპირველესყოვლისა იქმნება არა კრიზისის მართვის სათანადო ინსტრუმენტების მქონე ევროკავშირის სივრცისთვის, არამედ შუა აზიის, ახლო-აღმოსავლეთის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის.
- და ბოლოს, გამომდინარე იქიდან, რომ თალიბანი და მისი პარტნიორები (მაგალითად ალ-კაიდა) აქტიურად იყენებენ ახალ პლატფორმებს, იქმნება ახალგაზრდა ადამიანების რეკრუტირების, უცხოელი ტერორისტი მებრძოლების თავისუფლად გადაადგილების და რადიკალიზაციის დამატებითი რისკები.

საქართველო და ახალი ავღანეთი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ავღანეთში განვითარებული მოვლენების შედეგად შექმნილი ახალი რეგიონული და საერთაშორისო პოლიტიკური რეალობა მეტნაკლებად ყველა სახელმწიფოს შეეხება. საქართველო კი, მისი გეოგრაფიული, სოციალური და დემოგრაფიული პარამეტრების გამო განსაკუთრებული რისკების წინაშე დგას. ამიტომაც აუცილებელია გათვალისწინებული იყოს რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი:

➔ მნიშვნელოვანია საქართველომ აქტიურად ითანამშრომლოს ცენტრალური აზიის იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც გეოგრაფიული მდებარეობის გამო შეიძლება პირდაპირ აღმოჩნდნენ ისეთი რისკების წინაშე, როგორიც არის უცხოელი

ტერორისტი მებრძოლების მობილობა, ნარკო- და ადამიანების-ტრეფიკინგები. ასეთი სახელმწიფოების სიაში არიან ყაზახეთი, თურქმენეთი (განსაკუთრებით, რადგან სწორედ თურქმენეთის ტერიტორიაზეა განთავსებული ავღანეთის ისლამურ სახელმწიფოში აკრედიტირებული საქართველოს საელჩო), უზბეკეთი, ტაჯიკეთი და ყირგიზეთი. მნიშვნელოვანია, საქართველომ გააძლიეროს თანამშრომლობა ინფორმაციის გაცვლის პროცესების გამჭვირვალობის და ხარისხის გაუმჯობესების კუთხით აღნიშნულ სახელმწიფოებთან.

➔ ასევე მნიშვნელოვანი აქტიური თანამშრომლობა განხორციელდეს საქართველოს, აზერბაიჯანს და სომხეთს შორის, რაც კიდევ უფრო შეამცირებდა ზემოთ აღნიშნულ რისკებს.

➔ მიუხედავად იმისა, რომ ტერორიზმის ბრძოლის წინააღმდეგ საქართველოს ეროვნული სტრატეგია ყველაზე სახიფათო ტერორისტულ ორგანიზაციებად დაეშს და ალ კაიდას ასახელებს გასათვალისწინებელია შემდეგი[14]:

1. თალიბანის მიერ ქაბულის აღება ატარებს ალ-კაიდას ხელახლა გაძლიერების რისკს.
2. 2001 წლის 9 სექტემბრის თავდასხმის შემდეგ სახელმწიფოს ტერორისტული საფრთხის წინაშე დგომის მაჩვენებლის განსაზღვრისას დაიწყო დაკვირვება სახელმწიფოს ჩართულობაზე მსოფლიო პოლიტიკაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმაზე თუ აქტიურობის რა ხარისხით არის სახელმწიფო წარმოდგენილი იმ ლოკაციაზე, საიდანაც შეიძლება გაჩნდეს ტერორისტული თავდასხმის პოტენციური რისკი. საქართველოს შეიარაღებული ძალების ავღანეთის ტერიტორიაზე მოქმედი საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების“ (ISAF) შემადგენლობაში ყოფნა 2004 წლის შემდეგ,

[14] საქართველოს მთავრობა (2019). ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე. ხელმისაწვდომია: http://gov.ge/files/524_69782_874672_rotated_53.pdf?fbclid=IwAR25TZYW_udVPdXlN7tZ2FmHq3CElzugyILRxnYlTqZQ68sCq1tEqMGGPXg

შეიძლება (თუმცა შანსი ამ მხრივ დაბალია) თალიბანის მხრიდან გარკვეული რევანშისტული ქმედებების მოტივი გახდეს საქართველოს წინააღმდეგ.

➜ სავარაუდოა, რომ ყველაზე რეალური და მნიშვნელოვანია გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, უცხოელი ტერორისტი მებრძოლების ერთი რეგიონიდან მეორეში გადასვლის (ახლო-აღმოსავლეთი - ავღანეთი, აფრიკა-ავღანეთი ან პირიქით) და ნარკო-ტრეფიკინგის დროს გაზრდილი რისკები საქართველოსთვის.

➜ უმნიშვნელოვანესია, გაიზარდოს სახელმწიფოს ძალისხმევა დერადიკალიზაციის და ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის და მისი პრევენციის პროგრამების განხორციელებაზე, რომელიც მეტწილად კონცენტრირებული უნდა იყოს ქისტ, სუნიტ-აზერბაიჯანელ და აჭარელ ახალგაზრდებზე (განსაკუთრებით ქალებზე და ბავშვებზე). მნიშვნელოვანია ისეთი ლოკაციების დერადიკალიზაციის, საგანმანათლებლო და ქალთა უფლებების ხელშემწყობი პროგრამებით დატვირთვა, როგორებიც არის ბოლნისი, დმანისი და მარნეული (ამ უკანასკნელში თალიბანის მიერ სუნიზმის არასწორ ინტერპრეტაციაში შეფუთული ჯიჰადისტური ნარატივის გავრცელება შედარებით რთული იქნება, რადგან აქ შიიტურ ისლამს საკმაოდ მყარი პოზიციები უჭირავს).